მოწმე/დაზარალებული ბავშვის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში

მომზადებულია ანა თავხელიძის მიერ

ვინ არის მოწმე ბავშვი?

18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ra უფლებები აქვს მოწმე ბავშვს?

- ✓ მისი განვითარების შესატყვისი ფორმით მიიღოს ინფორმაცია
- ✓ სახელმწიფოს ხარჯზე, უფასოდ, ჰყავდეს ადვოკატი
- ✓ იცოდეს რა საქმესთან დაკავშირებით არის დაბარებული მოწმედ
- ✓ თუ სათანადოდ არ იცის ქართული ენა, ჩვენება მისცეს მისთვის გასაგებ ენაზე, სახელმწიფოს ხარჯზე ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით
- ✓ გაეცნოს მისი მონაწილეობით შედგენილ დოკუმენტს, ასევე შენიშვნა, დამატება ან ცვლილება შეიტანოს მასში
- ✓ სახელმწიფოსგან მოითხოვოს უსაფრთხოების დაცვა
- ✓ არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ
- ✓ და სხვა

სისხლის სამართლის კანონმდებლობით ახლო ნათესავად მიიჩნევიან შემდეგი პირები: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული)

ვინ არის დაზარალებული ბავშვი ?

საქართველოს კანონმდებლობით დაზარალებულად ითვლება ბავშვი, რომელსაც მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

ra uflebebi aqvs dazaraleebul bavshvs?

არასრულწლოვან დაზარალებულს ენიჭება არასრულწლოვანი მოწმისათვის მინიჭებული ყველა უფლება. დამატებით, მისი ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით, კანონი დაზარალებულ ბავშვს უფლებას ანიჭებს:

- ✓ იცოდეს წარდგენილი ბრალდების არსი;
- ✓ მიიღოს ინფორმაცია და განმარტება სასამართლო სხდომის თარიღების, განაჩენის გამოტანის, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისა და შეფარდებული სასჯელის შესახებ;
- ✓ მისცეს ჩვენება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ ან წერილობითი ფორმით წარადგინოს ინფორმაცია ;
- ✓ მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;
- ✓ მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ;
- ✓ მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, მათ შორის შემაჯამებელი გადაწყვეტილებები;
- ✓ გაასაჩივროს გამომძიებლის, პროკურორის ქმედებები ზემდგომთან და სასამართლოში
- ✓ დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ბავშვს უფლება აქვს მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.

მოწმე ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვა

გამოკითხვა ნიშნავს მომხდარი დანაშაულის შესახებ პოლიციისთვის ინფორ-მაციის მიწოდებას. ეს პროცესი ნებაყოფლობითია და ბავშვს უფლება აქვს უარი თქვას პოლიციაში გამოკითხვაზე. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, ბავშვის დაკითხვა მოსამართლის თანდასწრებით მოხდეს.

ბავშვის გამოკითხვა უნდა გახორციელდეს ბავშვზე მორგებულ გარემოში, სადაც დაცული იქნება ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება. გამოკითხვის პროცესში მონაწილე პირთა რაოდენობა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.

ბავშვის გამოკითხვა უნდა განხორციელდეს სათანადოდ მომზადებული პირის მიერ. სასურველია, გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა. მას შემდეგ რაც, გამოძიება დასრულდება და საქმის განხილვა გაგრძელდება სასამარ-თლოში, შესაძლებელია საჭირო გახდეს ბავშვის სასამართლოში დაკითხვა.

ასეთ დროს, ბავშვის დასაცავად შესაძლებელია შემდეგი მოქმედებების მოთხოვნა:

- ✓ ბავშვის დაკითხვა, ისე რომ მისი გამოსახულება ან/და ხმა შეიცვალოს შესაბამისი მოწყობილობების გამოყენებით, დაკითხვა გაუმჭვირვალე ეკრანს მიღმა ან დისტანციურად, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი ბავშვის კონტაქტი ბრალდებულთან ან/და სხვა პირებთან.
- ✓ სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობით დაკითხვა და დაკითხვის ვიდეოგადაღება
- ✓ სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვა
- ✓ ბრალდებულის დროებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანა, რათა ის არ დაესწროს ბავშვის გამოკითხვას და ბავშმა დამატებითი სტრესი არ განიცადოს



ახასხუღწღოვანთა მახთღმსაჯუღების პროცესში სავაღღებუღოა:

- ✓ ბავშვთან დაკავშირებულ ყველა პირს/თანამშრომელს - გავლილი ჰქონდეს შესაბამისი სწავლება ბავშვთა უფლებების საკითხებზე.
- ✓ ბავშვს მუდმივად უნდა ახლდეს კანონიერი/საპროცესო წარმომადგენელი
- ✓ ნებისმიერი მოქმედება ბავშვზე მორგებულ გარემოში უნდა ჩატარდეს, რაც გულისხმობს ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ხა უნდა გაითვაღისწინონ სისხღის სამახთღის პროცესში ჩახთუღმა პროფესიონაღებმა ბავშვთან უხთიეხთობისას?

- ✓ ბავშვი მათი თანასწორია და მას უნდა მოექცნენ პატივისცემით
- ✓ ყველა ბავშვი განსხვავებულია და პროცესში მათი ინდივიდუალური საჭიროებები უნდა იყოს გათვალისწინებული
- ✓ მოუსმინონ ბავშვს და პატივი სცენ მის გადაწყვეტილებას
- ✓ უპირატესობა მიანიჭონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას
- ✓ პატივი უნდა სცენ ბავშვის პირადი ცხოვრების უფლებას
- ✓ დროულად მიიღონ ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები

დოკუმენტი მომზადდა პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

USAID
ამერიკელი ხალხისაგან

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

პარტნიორობა
ადამიანის უფლებებისთვის